სამოქალაქო საზოგადოების ხედვა "ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ წვლილთან (NDC)“ დაკავშირებით

2020

პუბლიკაცია მომზადდა პროექტის -„ბიზნეს სექტორის მზადყოფნა საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC)-ს შესრულებასთან დაკავშირებით“ ფარგლებში

პროექტს ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამოუკიდებელი კომისია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ავტორთა პირადი მოსაზრებები.

დაუშვებელია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული მასალების კომერციული მიზნით გამოყენება ფონდის თანხმობის გარეშე

© ფრიდრიხ ებერტის ფონდი

ავტორი: ავთანდილ გელაძე
რედაქტორი: ცაცა ჟორდანია

სამოქალაქო საზოგადოების ხედვა „ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ წვლილთან (NDC)“ დაკავშირებით

კლიმატის ცვლილებაზე მეცნიერებმა ინტენსიური საუბრები მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან, ხოლო პოლიტიკოსებმა მეცნიერების საგანგაშო პროგნოზებზე რეაგირება მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყეს;
პოლიტიკოსებს 10 წელი დასჭირდათ, რათა მიეღწიათ პირველი სერიოზული შეთანხმებისათვის და ეს იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩო-კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 1992 წლის 9 მაისს (ე.წ. რიო დე ჟანეიროს კონვენცია);
ამ კონვენციის ბაზაზე, მიღებულ იქნა კლიმატის ცვლილების თემასთან დაკავშირებული რამოდენიმე საერთაშორისო შეთანხმება:

- კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (1994 წლის 21 აპრილი);
- კონვენცია გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ (1994 წელი)
- კიოტოს ოქმი, რომელიც მიღებული იქნა 1997 წლის 11 დეკემბერს (ძალაში შევიდა 2005 წლის 16 თებერვალს);
- ორჰუსის კონვენცია (1998 წელი)
- მერების შეთანხმება. 2010 წლიდან საქართველოს დიდმა ქალაქებმა დაიწყეს ჩართვა მერების შეთანხმებაში (COM). ამჟამად საქართველოს 23 ქალაქი და მუნიციპალიტეტია მასში ჩართული;
- და სხვა.

საქართველო ყველა ამ საერთაშორისო შეთანხმების მხარე და მონაწილეა.
კლიმატის ცვლილების თემაზე ყოველწლიურად ტარდება ჩარჩო კონვენციის (რიოს კონვენცია) მხარეთა მასშტაბური შეკრება (COP). (მიმდინარე წელს 26-ედ უნდა ჩატარებულიყო, თუმცა პანდემიის გამო ეს შეხვედრა არ შედგა).
კლიმატის ცვლილების თემაზე ბოლოდროინდელი ფორუმებიდან ყველაზე ეფექტური და შედეგიანი აღმოჩნდა კონვენციის მხარეთა შეკრება პარიზში, სადაც მიღწეულ იქნა ე.წ „პარიზის შეთანხმება“:
პარიზის შეთანხმება წარმოადგენს კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის მხარეთა შეთანხმებას და მიღწეული იქნა 2015 წლის დეკემბერში კონვენციის მხარეთა კონფერენციის მე-17 სესიაზე.
შეთანხმება შემუშავდა „გაძლიერებული ქმედებებისათვის დურბანის პლატფორმის“ შესაბამისად.
შეთანხმების ტექსტი შედგება შესავლის, 29 მუხლის, 131 პუნქტისა და ქვეპუნქტებისაგან.
შეთანხმების მიზანია - XXI საუკუნის II ნახევრისათვის მსოფლიომ მიაღწიოს „წყაროებიდან ანთროპოგენურ ემისიებსა და სათბურის გაზების შთანთქმას შორის ბალანსს“.

ამ მიზნის მისაღწევად დასახულია ამოცანები:

- გლობალური დათბობა შენარჩუნებული იქნეს 2^0C -ის ფარგლებში და მაქსიმალურად შევეცადოთ, რათა ტემპერატურის ზრდა შეიზღუდოს 1,5 გრადუს ცელსიუსამდე (მუხლი4/1);
- თითოეული მხარე უზრუნველყოფს თანმიმდევრულ, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილების მომზადებას, შეტყობინებას და წარმოებას, რომლის მიღწევასაც აპირებს. მხარეები განახორციელებენ შერბილების შიდა ღონისძიებებს ასეთი წვლილის მიზნების მისაღწევად (მუხლი 4/2);
- თითოეული მხარის ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ მომდევნო წვლილში უნდა აისახოს პროგრესი, უკვე არსებულ ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ წვლილთან შედარებით და უმაღლესი შესაძლებელი ამბიცია, ასევე საერთო, მაგრამ დიფერენცირებული პასუხისმგებლობები, განსხვავებული ეროვნული გარემოებების გათვალისწინებით (მუხლი 4/3);
- განვითარებადი ქვეყანა მხარეები უზრუნველყოფილი იქნებიან დახმარებით ამ მუხლის განსახორციელებლად, იმის გაცნობიერებით, რომ განვითარებადი ქვეყანა მხარეებისთვის დახმარების გაძლიერება საშუალებას მისცემს მათ გამოავლინონ უფრო მეტი ამბიცია თავიანთ საქმიანობაში (მუხლი 4/5);
- თითოეული მხარე უზრუნველყოფს საკუთარი ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის შეტყობინებას ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ (მუხლი 4/9);
- მხარეები აწარმოებენ მათი ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის აღრიცხვას. ანთროპოგენური ემისიების და მშთანთქმელების აღრიცხვისას, მათი ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის შესაბამისად, მხარეები ხელს შეუწყობენ ეკოლოგიურ მდგრადობას, გამჭვირვალობას, სიზუსტეს, სისრულეს, შედარებითობას და თანმიმდევრულობას და უზრუნველყოფენ ორმაგი აღრიცხვის თავიდან აცილებას (მუხლი 4/13);
- ყველა მხარე განუხრელად ეცდება დაბალემისიანი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავებას და შეტყობინებას (მუხლი 4/19);
- და სხვა.

პარიზის შეთანხმებას საქართველომ ხელი 2016 წლის აპრილში მოაწერა.

პარლამენტმა რატიფიცირება მოახდინა 2017 წლის 8 მაისს და ძალაში შევიდა 2017 წლის 7 ივნისიდან.

პარიზის შეთანხმებითა და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების რეალიზაციის მიზნით, საქართველოში დაიგეგმა და ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებები.

საქართველომ, ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის დახმარებით, მოამზადა და გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის სამდივნოს 2015 წლის 28 სექტემბერს წარუდგინა დოკუმენტი ,,ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილი“-ს (INDC) შესახებ;
აღნიშნული დოკუმენტი, გაეროს კლიმატის ჩარჩო კონვენციის მოლაპარაკებათა პროცესიდან გამომდინარე, კლიმატის ცვლილების შერბილების კუთხით პირველი ნებაყოფლობითი ვალდებულებაა, რომელიც საქართველომ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აიღო - 2015 წლის პარიზის კონფერენციაზე მიღებული შეთანხმების შესასრულებლად.
“ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილი“-ს (INDC) დოკუმენტი იყო კონცეპტუალური ხასიათის და ეფუძნებოდა საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით საქართველოსთვის შემუშავებულ „დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიას“, თუმცა უზრუნველყოფილი არ იყო კონკრეტული სამოქმედო გეგმით.

ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილი“-ს (INDC) დოკუმენტის ანალიზი და შეფასებები

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში, სათბური გაზების ემისიის ყველაზე დაბალი დონე დაფიქსირდა 1995 წელს და შეადგინა 8799 ათასი ტონა CO_2 ექვივალენტი, ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 1990 წელს და შეადგინა 47 975 ათასი ტონა Co_2 ექვივალენტი.
2017 წელს ემისიამ შეადგინა 17 მილიონ ტონაზე მეტი, ანუ 1990 წლის დონის 35 4%.
საქართველოს მთავრობა, აცნობიერებს რა, კლიმატის ცვლილების შერბილების აუცილებლობას და იმ ფაქტს, რომ არ ძალუძს დამოუკიდებლად გაუმკლავდეს კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებს, ეფექტურად იყენებს საერთაშორისო მხარდაჭერას, კერძოდ:

- აშშ მთავრობის მხარდაჭერით მომზადდა „დაბალემისიებიანი განვითარების სტრატეგია“;
- გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით მომზადდა INDC;
- გაეროს მხარდაჭერით მომზადდა ეროვნული შეტყობინებები და ორწლიური განახლებული ანგარიშები;
- და სხვა.

საქართველოს მთავრობის მიერ ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის INDC-ის დოკუმენტის მიხედვით აღებული „ნებაყოფლობითი ვალდებულებების“ ნაწილი უპირობოა და გულისხმობს მათ განხორციელებას საკუ-

თარი რესურსებით, ხოლო ნაწილი ვალდებულებების მიმართ დადებულია პირობა, რომ მათი რეალიზაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ საერთაშორისო დახმარების შემთხვევაში.
ეს ვალდებულებები დოკუმენტში ასახულია შემდეგი სახით:
ციტატა დოკუმენტიდან - 2030 წლისათვის უპირობოდ 15%-ით შეამციროს თავისი „სათბურის გაზების“ ემისია „ტრადიციული ბიზნესის“ სცენარით განსაზღვრული მნიშვნელობის მიმართ. 2013 წლიდან 2030 წლამდე ემისიების ინტენსივობა მშპ-ს ერთეულზე შემცირდება 34%-ით. 15%-იანი შემცირების ვალდებულება გაიზრდება 25%-მდე, თუ ახალ ხელშეკრულებაში ასახული იქნება ისეთი ასპექტები, როგორიცაა ტექნიკური მხარდაჭერა, წვდომა იაფ ფინანსურ რესურსებზე და ტექნოლოგიების გადაცემა.
ამ შემთხვევაში ემისიების ინტენსივობა მშპ-ს ერთ ერთეულზე 2013 წლიდან 2030 წლამდე შემცირდება 43%-ით. 25%-იანი შემცირება უზრუნველყოფს 2030 წლისათვის 40%-იან შემცირებას 1990 წლის დონის მიმართ.

INDC-ის მიხედვით, 2020-2030 წ.წ. პერიოდისათვის, საქართველოს მიერ აღებული უპირობო (მხოლოდ საკუთარი რესურსებით) ვალდებულებების სამიზნე სექტორები იყო:

- ენერგეტიკა;
- სამრეწველო პროცესები;
- სოფლის მეურნეობა;
- ნარჩენები.

დოკუმენტი არ ითვალისწინებდა კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას მიწათსარგებლობისა და ტყის სექტორში.
იმავე დოკუმენტში, საქართველოს მთავრობის მიერ დასახული იყო შემდეგი ამოცანები:

- მისიების შემცირების მიზნის მისაღწევად გაატარდება კლიმატის ცვლილების ყოვლისმომცველი ეროვნული პოლიტიკა;
- 2018 წელს დაიწყო კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის „კლიმატი 2021-2030“ შემუშავება, რომელმაც უნდა განსაზღვროს სამართლებრივი ინსტრუმენტები, ქმედებები, მეთოდები და სხვა შესაბამისი საკითხები;
- საქართველოს „კლიმატი 2030“ მიზნის მისაღწევად საკანონმდებლო წინადადებების, ეროვნული პროგრამების და იურიდიულად სავალდებულო შიდა აქტების შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და მომავალისთვის დაგეგმილი, ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს წევრობა;
- 2020 წლამდე პერიოდში ქვეყანა იხელმძღვანელებს „საქართველოს დაბალემი-

სიანი განვითარების სტრატეგიაში“ რეკომენდებული ემისიების შემცირების ღონისძიებებით;

- 2020 წლამდე და 2030 წლამდე პერიოდებშიც განახორციელებს „პირველი ეროვნული ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმით” გათვალისწინებულ შემარბილებელ ღონისძიებებს;
- 2020 წლამდე და 2020 წლის შემდგომ პერიოდებშიც შექმნის ხელსაყრელ გარემოს „მერების შეთანხმების“ მონაწილე მუნიციპალიტეტების მხრიდან სათბური გაზების ემისიის შემცირებისა და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურად განხორციელებისათვის;

შეფასებები

,,ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილი (INDC), როგორც გაეროს კლიმატის ჩარჩო კონვენციის მიმართ და კლიმატის ცვლილების შერბილების კუთხით აღებული პირველი ნებაყოფლობითი ვალდებულება, უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯია.

ამ დოკუმენტმა არაერთი პოზიტიური შედეგი გამოიღო, ქმედებების გააქტიურება, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება და ზოგადი სურათის გაუმჯობესების ტენდენცია.

დოკუმენტი გახდა ახალი ხედვებისა და მიდგომების, გლობალური პრობლემებისადმი პასუხისმგებლობის ამაღლებისა და შედეგებზე ორიენტირებული კონკრეტული ქმედებების გენერირების საფუძველი.

პოზიტიურ ცვლილებათა ნათელი მაგალითია ეროვნულად განსაზღვრული წვლილის (NDC) და კლიმატის სამოქმედო გეგმაზე (CAP) მიმდინარე სამუშაოების პროცესი.

მთავრობა მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება დასაგეგმი ღონისძიებების არგუმენტირებისა და მათი რეალიზაციისათვის აუცილებელი რესურსებისა და შესაძლებლობების მობილიზებას, რაც ,,ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC)“ დოკუმენტის სერიოზულ ნაკლს წარმოადგენდა.

სამწუხაროა, რომ ზოგადი პოზიტიური შედეგები ჯეროვნად და სრულად ვერ აისახა პრაქტიკულ გადაწყვეტილებებში და ვერ გარდაიქმნა ასევე პოზიტიურ კონკრეტულ შედეგებად.

საქართველოს მიერ INDC დოკუმენტში დეკლარირებული სურვილები და დაპირებების დიდი ნაწილი, 2019 წლამდე მხარდაჭერილი არ ყოფილა ადეკვატური პოლიტიკური გადაწყვეტილებებითა და შესაბამისი რესურსებით, შესაბამისად მათი რეალიზაცია მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა და უმეტესწილად დონორების დახმარებით.

სრულყოფილად არ განხორციელდა INDC დოკუმენტში მთავრობის მიერ გაცხადებული დაპირება, რომ „საქართველოში ემისიების შემცირების მისაღწევად გატარდება კლიმატის ცვლილების ყოვლისმომცველი ეროვნული პოლიტიკა:

- 2016 წელს, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, უნდა ამოქმედებულიყო ახალი ტყის კოდექსი და მასთან დაკავშირებული ყველა კანონქვემდებარე აქტი (ტყის კოდექსი მიღებულ იქნა მხოლოდ 2020 წელს).
- 2017 წლისათვის უნდა დასრულებულიყო სატყეო მონიტორინგის ახალი სისტემა (არ დასრულებულა);
- 2018 წელს დაიწყო, და დღემდე არ დასრულებულა კლიმატის ცვლილების სამოქმედო „კლიმატი 2021-2030 წწ“ (ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია);
- დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიისათვის (LEDC) მთავრობას დღემდე არ მიუნიჭებია ოფიციალური სტატუსი;
- 2020 წლამდე პერიოდში უნდა ეხელმძღვანელა „საქართველოს დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიაში რეკომენდირებული ემისიების შემცირების ღონისძიებებით (ამ დოკუმენტის შესაძლებლობებისა და რეკომენდაციების დიდი ნაწილი შეუსრულებელია);
- შეუსრულებელი რჩება ვალდებულება, რომ საქართველო „გადადგამს ნაბიჯებს, რათა მიღწეულ იქნას საბაზისო სცენარიდან (ტრადიციული ბიზნესის შესატყვისი დონიდან) გაზომვადი, ანგარიშგებადი და შემოწმებადი გადახრა, მხარდაჭერილი და უზრუნველყოფილი ფინანსებით, ტექნოლოგიებითა და პოტენციალის შექმნით”. შეუძლებელია INDC დოკუმენტით აღებული ვალდებულებების, შესრულებული, ან შეუსრულებელი პარამეტრების რაოდენობრივი შეფასება.
- ეროვნულ დონეზე (სფეროები, დარგები, ბიზნეს ობიექტები და სხვა) სათბური აირების ემისიისა და შთანთქმის აღრიცხვა და დათვლა კანონმდებლობით არ არის სავალდებულო (არ არსებობს სათანადო საკანონმდებლო ბაზა), არ მიმდინარეობს ადგილობრივი სპეციალისტების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგომარეობასთან დაკავშირებით ყოველწლიურად აქვეყნებს მონაცემებს (https://tenders.ge/tenders/5360/service-purchase-green-region.html), მაგრამ მათში არაა შეტანილი სათბური აირების ემისიების ინვენტარიზაციის შედეგები. ასეთი აღრიცხვა არ ხორციელდება ცენტრალურ, მუნიციპალურ და ბიზნეს - სუბიექტების მიხედვით.
- სათბური აირების ემისიებზე მონიტორინგის სისტემის უმოქმედობის და საიმედო საწყისი სტატისტიკური მონაცემების არ არსებობის გამო შეუძლებელი ხდება გეგმების ამბიციურობის და მიღწეული შედეგების შეფასება, დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტურობის დადგენა-კორექტირება.
- და სხვა.

ეს მდგომარეობა ართულებს კლიმატის ცვლილების შერბილებისა და გარდა-უვალ შედეგებთან ადაპტაციის საქმეში საზოგადოებრივი სექტორის აქტიურად ჩართვას!

საქართველოს მიერ სათბური აირების ემისიების შემცირების მიზნით აღებული ვალდებულებების ამბიციურობის შეფასება

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული რამდენიმე ზოგადი პოზიტიური შედეგისა, INDC დოკუმენტი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ კლიმატის ცვლილების შერბილების პოტენციალი სრულყოფილად არ არის შეფასებული, რაც საეჭვოს ხდის INDC დოკუმენტით აღებული ვალდებულებების ამბიციურობას.



გრაფიკში მოცემულია ემისიების აბსოლუტური მაჩვენებლები.
რადგანაც სათბური აირების ემისია ქვეყნის ეკონომიკური აქტივობის შედეგია, ემისიების მაჩვენებელი უნდა განვიხილთ ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებაში.



გრაფიკზე მოცემულია ემისიების (ათასი ტონა) და მშპ (100 მლნ.$) ურთიერთდამოკიდებულება.
ამ შედარებიდან ჩანს, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის თითქმის პროპორციულად იზრდება ემისიების რაოდენობაც. ეს ნიშნავს, რომ ერთეულ მშპ-ში ემისიების რაოდენობა თითქმის არ მცირდება.
ძნელია, ასეთი ვალდებულება შეფასდეს ამბიციურად, რადგან 90-იან წლებთან შედარებით, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ენერგოეფექტურობის პირობებში, ემისიების შემცირების გაცილებით მეტი პოტენციალია და ამ პოტენციალის რეალიზაციაც არ წარმოადგენს დაუძლეველ პრობლემას.
ვალდებულების ამბიციურობა კიდევ უფრო მეტად საეჭვო ხდება იმის გათვალისწინებით, რომ გრაფიკის შედგენისას უპირობოდ იყო გამოყენებული მშპ სავარაუდო ზრდის ტემპი (5%), რაც ასევე არარეალურია შემდეგი გარემოებების გამო:

- უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მშპ ზრდის ტემპი ყოველთვის 5%-ზე ნაკლები იყო;
- მშპ ხასიათდება დინამიურობის 3-5 წლიანი ციკლით და ხშირად განიცდის ვარდნას (ასეთი ვარდნის გამო, მშპ-ის 2018 წლის აბსოლუტური მაჩვენებელი ჩამორჩებოდა კიდეც 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს) (https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp)
- 2020 წელს, პანდემიიდან გამომდინარე, მშპ ზრდის ტემპმა შეადგინა -5%;
- 2021 წლისთვის ნავარაუდევია 5%-იანი ზრდა 2020 წელთან შედარებით, რაც უკვე გულისხმობს ტემპის ვარდნას;
- და სხვა.

ამბიციურობით არ ხასიათდება ,,ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC)“ შესახებ საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებული დოკუმენტიც.
,,ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC)“ დოკუმენტის უპირობო ვალდებულება გულისხმობდა 2030 წლისათვის არაუმეტეს 32 66 მლნ ტონის ემისიების გაფრქვევას.
,,ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC)“ ახალი დოკუმენტი გულისხმობს 2030 წლისათვის არაუმეტეს 31 2 მლნ. ტონა ემისიების გაფრქვევას. ანუ ზედა ზღვარი შემცირებულია 1 46 მლნ. ტონით, ე.ი. 4 5 %-ით. ამ თვალსაზრისით ქვეყანას ბევრად მეტი პოტენციალი გააჩნია.
ემისიების შემცირების პოტენციალის სრულად ასათვისებლად განსაკუთრებული ჩამორჩენაა განახლებადი ენერგიების გენერირებისა და ენერგოეფექტურობის დონის ამაღლების თვალსაზრისით. არ არსებობს სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, „ენერგოეფექტურობის“ შესაბამისი მოთხოვნები, სტანდარტები და სხვა.

ნათელია, რომ ქვეყანა მიზნის მიღწევას ცდილობს ერთეული მსხვილი პროექტების განხორციელების გზით და არ აპირებს საზოგადოების, შინამეურნეობებისა და თემების პოტენციალის გამოყენებას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს პროცესებში საზოგადოების აქტიურად ჩართვის და გლობალური დათბობის პროცესის შერბილებისათვის აქტივობების დინამიური განვითარების გარანტიებსა და შესაძლებლობებს.

კლიმატის ცვლილების სფეროში მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევის შესაძლებლობაა „მერების შეთანხმების“ მონაწილე მუნიციპალიტეტების აქტიურობა და არ იგეგმება ამ პოტენციალის სრულად რეალიზების ღონისძიებები.

„მერების შეთანხმების“ მონაწილე 23 მუნიციპალიტეტიდან სავალდებულო “მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმა” შემუშავებული აქვს მხოლოდ 10-ს, ხოლო ამ გეგმის რელიაზაციის მონიტორინგს ახორციელებს არაუმეტეს 2-3 მუნიციპალიტეტი.

აღნიშნული მიანიშნებს, რომ მერების შეთანხმებაში საქართველოს მუნიციპალიტეტების გაერთიანებას გარკვეულწილად კამპანიური ხასიათი ჰქონდა და მისი შემდგომი განვითარება შენელდა, დამუხრუჭდა.

ერთერთი მიზეზია ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების ჭარბი უფლებამოსილებები და დეცენტრალიზაციის პროცესის დაბალი ტემპი. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში დიდია ცენტრიდან გადაცემული ტრანსფერის წილი და შესაბამისად, მათ შეზღუდული აქვთ ამ რესურსების დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობები.

მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში არ არის ჩამოყალიბებული ადგილობრივი მდგრადი ენერგეტიკული პოლიტიკა, არ შექმნილა შესაბამისი ინსტიტუციონალურ/მმართველობითი უნარები და სხვა.

კლიმატის ცვლილების შერბილების კუთხით უმნიშვნელოვანესია ტყე.

მიუხედავად ამისა, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის INDC დოკუმენტის შერბილების ნაწილში ტყე არ არის განხილული და მხოლოდ ადაპტაციის ნაწილშია წარმოდგენილი, ისიც დანართის სახით, რაც გაუგებარს ხდის ტყესთან მიმართებაში სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალდებულებებს.

ოფიციალური მონაცემების მიხედვით 2013-2018 წლებში გაშენებულია 263 38 ჰა ტყე. ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის INDC უპირობო ვალდებულების მიხედვით 2030 წლამდე უნდა გაშენდეს 1500 ჰა ტყე.

ტყის გაშენების დინამიკის მიხედვით მოსალოდნელია, რომ მთავრობა შეძლებს აღებული ვალდებულების შესრულებას, თუმცა ეს ვალდებულება სრულიადაც არ არის ამბიციური, რადგანაც 1990 წლამდე პერიოდში, როცა ტყის ლეგალური და არალეგალური ჭრების, სხვა სახის ანთროპოგენული ზემოქმედების მასშტაბები შეუდარებლად მცირე იყო, ამდენივე და უფრო მეტი (1500-2000 ჰა) ტყის გაშენება ხორციელდებოდა ყოველწლიურად.

კიდევ უფრო ბუნდოვანი და ზოგადია ტყესთან დაკავშირებული მიზნები ,,ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC)“ დოკუმენტის პროექტში. ახალი ვალდებულება ითვალისწინებს 2030 წლისათვის სათბური აირების ტყის მიერ შთანთქმის პოტენციალის გაზრდას 10%-ით. კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმაში ამ მიზნის მიღწევის გზებისა და მეთოდოლოგიის დაკონკრეტებით გახდება შესაძლებელი ამბიციურობის შეფასება.

„საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC)-ფინალური დოკუმენტის პროექტის“ მიმოხილვა

2020 წლის ივნისში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინიტრომ საჯარო განხილვისათვის გამოაქვეყნა ”ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC-ის)“ დოკუმენტის პროექტი.

წინა დოკუმენტისაგან განსხვავებით ”ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC-ის)“ ახალი დოკუმენტის პროექტი ემისიების მნიშვნელოვან შემცირებას განიხილავს ქვეყნის ეკონომიკის 6 სექტორიდან:

- ენერგიის გენერაცია და გადაცემის სექტორი;
- მრეწველობის სექტორი
- ტრანსპორტის სექტორი;
- შენობების სექტორი
- ნარჩენების მართვა;
- სოფლის მეურნეობა და სატყეო სექტორი

წინა დოკუმენტთან შედარებით რიგი პროგრესის მიუხედავად, ახალი დოკუმენტი:

- გადატვირთულია ისეთი ტექსტებით, რომლებიც არ შეიცავს კლიმატის ცვლილებისა და სათბური აირების შემცირების მიმართ სამთავრობო პოზიციისა და ხედვის შესაბამის შინაარსს და არც რაიმეს მატებს მას;
- პროექტი არ შეიცავს დამატებით ინფორმაციას, რომელიც სასარგებლო იქნებოდა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის სიცხადის, გამჭვირვალობისა და ნათლად გაგებისთვის;
- დოკუმენტის მე-2 თავის (ეროვნული გარემოებები და ინსტიტუციური მოწყობა) სუსტადაა ასახული შესაბამისი სექტორების მიხედვით ეროვნული პოლიტიკა, სტრატეგია და სამიზნე მაჩვენებლები, რაც ქმნის სირთულეებს სათბური აირების ემისიების შემცირების მიზნით დასახული ზოგიერთი

მიზნის აღქმაში, არადამაჯერებელს ხდის მათ. იგივე, ეჭვის ქვეშ აყენებს ზოგიერთი მიზნის რეალობას და ამბიციურობას.

- ცნობილია, რომ დღემდე შეუსრულებელია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით საქართველოს მიერ აღებული არაერთი ვალდებულება. ამ ფონზე უაღრესად „მოკრძალებულად“ გამოიყურება დოკუმენტის "თავი 3" - „საქართველოს სათბურის აირების ეროვნული ინვენტარიზაციის სისტემის შექმნა.“

არსებული ჩანაწერებიდან გამომდინარე, კვლავ ბუნდოვანი რჩება 2010 წლის „კოპენჰაგენის შეთანხმებით“ აღებული ვადებულების ბედი (ვალდებულება- „საქართველო გადადგამს ნაბიჯებს რათა მიაღწიოს გაზომვად, ანგარიშგებით და შემოწმებით (MRV) გადახრას საბაზისო სცენარიდან რომელიც მხარდაჭერილი და უზრუნველყოფილი იქნება ფინანსებით ტექნოლოგიებითა და შესაძლებლობების შექმნით)

- ოპტიმალურთან შედარებით სუსტად გამოიყურება პროექტის „ადაპტაციის“ ნაწილი. დაგეგმილია, რომ მომავალი 10 წელი დაეთმობა მხოლოდ კვლევებსა და შეფასებებს და არ ითვალისწინებს რაიმე აქტივობას ამ კვლევების შედეგების მიხედვით კონკრეტული საადაპტაციო ღონისძიების განხორციელების თვალსაზრისით.
- პროექტი არ ითვალისწინებს კლიმატის ცვლილების გამოწვევებთან ბრძოლაში საზოგადოებისა და მთლიანად მოსახლეობის აქტიურ ჩართვას. მასში არ არის აქცენტირებული საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, განათლების დონის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა და საერთო მიზნის მისაღწევად საზოგადოების მობილიზების საკითხები.
- საჭირო გახდება დოკუმენტის ტრანსფორმირება საზოგადოებისათვის გასაგებ ენაზე, რათა თითოეულმა მოქალაქემ მკაფიოდ დაინახოს საერთო მიზანი და მის მისაღწევად სამთავრობო ძალისმევაში ჩართვის აუცილებლობა, საკუთარი როლი და ადგილი. ნათლად წარმოიდგინოს რა უნდა გააკეთოს, რითი შეიზღუდოს თავი, ან რა ლეგალურ თუ ადმინისტრაციულ შეზღუდვებს უნდა ელოდეს უახლოეს მომავალში.
- მაღალმთიანი ტერიტორიების მოწყვლადობის პარალელურად, დოკუმენტი არ ითვალსიწნებს სანაპირო ზოლის, არიდული, სემიარიდული, სემიჰუმიდური და სხვა მოწყვლადი ეკოსისტემების რისკების მართვას;
- დოკუმენტის ერთერთ ძირითად დანიშნულებად გაცხადებულია, რომ ის წარმოადგენს კლიმატის სამოქმედო გეგმის საფუძველს და ძირითადი პარამეტრების განმსაზღვრელს, მე-4 თავში კი როლები შეცვლილია და სამიზნე მაჩვენებლების წყაროდ წარმოდგენილია კლიმატის სამოქმედო გეგმა (მუხლი 51, 53);
- ასეთი დონის დოკუმენტისათვის (იგი ამავდროულად კლიმატის სამოქმედო

გეგმის საფუძველიცაა), სრულიად არასაკმარისია შესაბამისი სექტორიდან ემისიების შესამცირებლად დაგეგმილი ღონისძიებები, რომლებიც შემოიფარგლება „მხარდაჭერისა“ და „წახალისების“ ზოგადი ფრაზებით (მუხლები 52, 54, 56);

- ამბიციურად არ გამოიყურება 2030 წლისათვის სათბური აირების შთანთქმის ტყის პოტენციალის 10%-ით გაზრდა, რადგანაც ასეთი ზრდის მიღწევა შესაძლებელია საქართველოს ტყეებზე განსაკუთრებული ზრუნვის გარეშეც, მხოლოდ ბუნებრივი განახლებისა და ბუნებრივი შემატების ხარჯზე (მუხლი 57).

კლიმატის ცვლილების შერბილებისა და გარდაუვალი შედეგებისადმი შეგუების (ადაპტაციის), დასახული მიზნებისა და აღებული ვალდებულებების ინსტიტუციონალური უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი მხარდაჭერა

კლიმატის ცვლილების საბჭოს შექმნისა და სამთავრობო სტრუქტურებს შორის ვალდებულებების გადანაწილების მიუხედავად, კლიმატის ცვლილების გამოწვევებთან დაკავშირებული ძირითადი ტვირთის უდიდესი ნაწილი მოდის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 3 შტატიან სამმართველოზე, რაც ნაკლებად ეფექტურს ხდის მათ საქმიანობას. საჭიროა ამ სტრუქტურის გაძლიერება;

პოლიტიკურ დონეზე:

- კლიმატის ცვლილების საკითხების რეგულირების ვალდებულებებმა გადაინაცვლოს უშუალოდ მთავრობის კომპეტენციაში;
- კლიმატის ცვლილების, მ.შ. NDC ვალდებულებებისა და დეკლარირებული პოზიციების რეალიზაციის მდგომარეობა საქართველოს მთავრობამ განიხილოს და შეაჯამოს ყოველწლიურად;
- NDC დოკუმენტი აყვანილი იქნეს „სტრატეგიული დოკუმენტის“ რანგში;

რეკომენდაციები NDC პროცესში დაინტერესებულ პირთა, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი მთავრობის მონაწილეობის გაძლიერებისათვის

საქართველოში, არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივითა და ორგანიზებით არაერთი პროექტი განხორციელდა კლიმატის ცვლილების გამოწვევებთან დაკავშირებით, თუმცა ვერ ხერხდება მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევა, რადგან მათი და სახელმწიფო სტუქტურების საქმიანობა არ არის კოორდინირებული.

ხშირ შემთხვევაში, აქტიური სამოქალაქო საზოგადოებისაგან განსხვავებით, ხელისუფლების პოზიციები პასიური და გაუბედავია, რაც ამცირების მათი თანამშრომლობის შესაძლებლობებს.

სასურველი შედეგების მისაღწევად აუცილებელია, გაძლიერდეს თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის.
სახელმწიფო სტრუქტურებმა უარყონ „პრივილეგირებულ“ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პრაქტიკა და სამოქალაქო საზოგადოების ნებისმიერ წევრს მისცენ საშუალება აქტიურად ჩაერთოს კლიმატის ცვლილების გამოწვევებზე სახელმწიფო ვალდებულებებისა და გეგმების შემუშავების პროცესში და დაუბრკოლებლად განახორციელოს მონიტორინგი გადაწყვეტილებების რეალიზაციის პროცესზე;

ამ მიზნის მისაღწევად, მიზანშწონილად მიგვაჩნია:

- ❖მკვეთრად გაუმჯობესდეს კლიმატის ცვლილების საკითხებზე სახელმწიფოს გეგმებსა და აქტივობებზე საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის სისტემის ყველა რგოლი -ადრეული ეტაპიდან დაწყებული და შედეგების მონიტორინგით დამთავრებული;
- ❖დაიხვეწოს და სრულყოფილი გახდეს სახელმწიფო სტრუქტურებისა და საზოგადოებრივი სექტორის უწყვეტი კომუნიკაციის სისტემა, ყურადღებისა და რეაგირების გარეშე არ დარჩეს სამოქალაქო საზოგადოების არცერთი მცდელობა - აქტიურად ჩაერთოს კლიმატის ცვლილების საკითხებში;
- ❖სახელმწიფომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურების მხარდასაჭერად, რისთვისაც აქტიურად გამოიყენოს ყველა სახის საინფორმაციო საშუალება, განსაკუთრებით კი სატელევიზიო სივრცე, როგორც რეგიონებში ინფორმაციის მიწოდების ყველაზე ეფექტური საშუალება;
- ❖გაფართოვდეს ინფორმაციის გავრცელების „დაიჯესტის“ ფორმატი და საზოგადოებას, მათთვის გასაგებ ენაზე, მიეწოდოს ინფორმაცია;
- ❖განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მუნიციპალიტეტებსა და რეგიონებში ფორმალურად არსებული კლიმატის ცვლილების ოფიციალური სტრუქტურების გააქტიურებას, ცენტრალურმა ხელისუფლებამ აქტიურად გამოიყენოს მათი შესაძლებლობები, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ამ საქმეში რეგიონის მოსახლეობის ჩართვის შესაძლებლობებს;
- ❖ხელისუფლებამ მეტი დრო და რესურსები დაუთმოს კონსტიტუციური ნორმის შესრულებას და საზოგადოებას სისტემატიურად მიაწოდოს სრული და ამომწურავი ინფორმაცია, მათი საარსებო გარემოს მდგომარეობის, კლიმატის ცვლილებით უკვე გამოწვეული ნეგატიური შედეგებისა და მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ;
- ❖მკვეთრად გაიზარდოს ამჟამინდელი მიზერული საბიუჯეტო დაფინანსება კლიმატის გლობალური ცვლილების საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ფართო ფენების ცნობიერების ამაღლებისა და მათი ინფორმირებულობის გასაზრდელად;